საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 514 2017 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13.01.2014, 300160070.10.003.017613) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. მე-9 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი;“.

ბ) 26-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (დედანი უბრუნდება გადამზიდველს);“.

2. მე-15 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებენ აკრედიტებული ინსპექტირების ცენტრები.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, ინსპექტირების ცენტრების მიერ გაიცემა შესაბამისობის შეფასების ოქმი ავტოსატრანსპორტო საშუალების განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად (დანართი №7).“;

გ) მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დამადასტურებელი ინსპექტირების ანგარიში;“;

დ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობა გაიცემა მათი სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად შესაბამისობის შეფასების ჩატარების თარიღიდან 12 თვის ვადით. დაშვების მოწმობა მოქმედია მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიშის მოქმედების ვადაში.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის №7 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2017 წლის 1 დეკემბრის
№ 514 დადგენილების
დანართი

„დანართი №7

შესაბამისობის შეფასების ოქმი №

განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დასაშვებად

ინსპექტირების ცენტრის მონაცემები:

დასახელება	მისამართი, ტელეფონი	ხელმძღვანელის გვარი, სახელი	აკრედიტაციის მოწმობის №

ავტოსატრანსპორტო საშუალების მახასიათებლები [1]:

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებელი:
2. ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი:
3. სარეგისტრაციო ნომერი (ასეთის არსებობისას):
4. მფლობელი, ოპერატორი ან გადამზიდველი, მისამართი, ტელეფონი:
5. ავტოსატრანსპორტო საშუალების აღწერა: (მარკა, ტიპი, სრული მასა, კგ)
6. ცისტერნის დამამზადებელი:
7. ცისტერნის /ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) დამტკიცების ნომერი:
8. დამამზადებლის მიერ მინიჭებული ცისტერნის სერიული ნომერი/ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) ელემენტების აღნიშვნა:
9. ცისტერნის დამზადების წელი:
10. ცისტერნის კოდი:

შეფასების შედეგები [1,2]:

1. ელექტრომოწ-ყობილობა და მისი ელემენტები:		2. სამუხრუჭო სისტემა:		3. ხანძარსაში-შროების აცილება:		4. სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა		5. მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები	
1.1 ელექტროგაყვა-ნილობა	◻	2.1 საერთო დებულებები	◻	3.1 სატრანსპორტო საშუალების კაბინა	◻	4.1 სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა	◻	5. მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები	◻
1.2 აკუმულატორთა ბატარეის მთავარი გადამრთველი	◻	2.2 ანტიბლოკირე-ბის სამუხრუჭო სისტემა	◻	3.2 საწვავის ავზები	◻				
1.3 აკუმულატორთა ბატარეა	◻	2.3 ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემა	◻	3.3 ძრავი	◻				
1.4 მუდმივად ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრომოწყობილობის ნაწილები	◻	2.4 მისაბმელების საავარიო სამუხრუჭო სისტემა	◻	3.4 გამონაბოლქვი აირების გამოშ-შვების სისტემა	◻				
1.5 მძღოლის კაბინის უკან განლაგებული ელექტრომოწყო-ბილობის ნაწილები	◻			3.5 ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემა	◻ ◻				
				3.6 საწვავით გამათბობლები					

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი 3:	EX/II	EX/III	FL	OX	AT

დასკვნა:	

შენიშვნა: 1. ჩამოთვლილის არარსებობის შეთხვევაში გადაიხაზოს ციფრები;
2. მოთხოვნებთან შეუსაბამობის შეთხვევაში გადაიხაზოს უჯრა (□);
3. არასაჭირო გადაიხაზოს.

_____

შეფასების თარიღი

<u>პასუხისმგებელი პირების სახელი, გვარი, ხელმოწერა:</u>

შემფასებელი: ცენტრის ხელმძღვანელი:

ბ.ა“.